საქართველოს ჟურნალისტთა
კავშირი

ფეხბურთი-73

თბილისი

КЛИСФ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი
სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია

ფეხბურთი

ცნობარი-კალენდარი

1973

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
თ ბ ი ლ ი ს ი — 1973

КЛИСФ. "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო იზრდება ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირების პოპულარობა. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით, რომელსაც ასე დიდხანს ელოდნენ ჩვენი ფეხბურთელები, ფეხბურთის მოყვარულები და მთელი სპორტული საზოგადოებრიობა, რვა წლის წინ გადაიდგა. გადაწყდა მივიღოთ მონაწილეობა შეჯიბრებაში, რომელსაც მხოლოდ საბჭოთა ფეხბურთის წარმომადგენლები აკლდა...

სპორტულ პაექრობაში პირველად კიევის „დინამო“ გამოვიდა. კიეველები ჩაებნენ შეჯიბრებაში, რომლის პირობები, ტრადიციები, კულისებსმიღმა ბრძოლა, სპეციფიკური ტაქტიკური მიდგომა, სტრატეგიული პრინციპები და ბევრი სხვა რამ ჩვენთვის მხოლოდ მიახლოებით იყო ცნობილი. ფეხბურთელებს ამ დიდი, ჩვენთვის ახალი და უცნობი სატურნირო მექანიზმის ყველა დეტალის შესწავლა უკვე შეჯიბრების მსვლელობის დროს მოუხდათ. ამ ამოცანის შესრულებას ერთი გარემოებაც აძნელებდა: მთელი სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ისე უნდა გარდაქმნილიყო, რომ გუნდს სპორტული ფორმა თითქმის მთელი წლის მანძილზე შეენარჩუნებინა.

საკლუბო გუნდების ტურნირებში მონაწილეობა წყვეტდა კიდევ ერთ პრობლემას. აქამდე დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი გამოდიოდა. მართალია, საბჭოთა ფეხბურთელები ამხანაგურ მატჩებში ხვდებოდნენ საზღვარგარეთულ კლუბებს, მაგრამ ამ შეხვედრებმა თანდათან დაკარგეს უწინდელი სპორტული მნიშვნელობა. ასეთ მატჩებში მონაწილე გუნდები არ გავდნენ საერთაშორისო ტურნირებში პრიზებისთვის მებრძოლ მოწინააღმდეგეებს.

საერთაშორისო ტურნირებში მოთამაშე იბრძვის მთელი ენერგიით, უჩვენებს მთელ თავის შესაძლებლობას და, რა

თქმა უნდა, მატჩების სპორტული ინტერესიც უფრო მაღალია. ამ ტურნირებში მონაწილეობამ სსრ კავშირის საკლუბო გუნდებს შემდგომი ზრდისა და თამაშის კლასის ამაღლების შესანიშნავი პერსპექტივა შეუქმნა.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი

გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო მორიგი — მეთვრამეტე — გათამაშება, რომელშიც მონაწილეობენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონები. ამ ტურნირს ასეთი დასახელებაც აქვს — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, რომლის მფლობელნი წინა წლებში იყვნენ:

1956-1960 წ. წ. — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი).
1961-1962 წ. წ. — „პენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია)
1963 წ. — „მილანი“ (იტალია)
1964-1965 წ.წ . — „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია)
1966 წ. — „რეალი“ (ესპანეთი)
1967 წ. — „სელტიკი“. (გლაზგო, შოტლანდია)
1968 წ. — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი)
1969 წ. — „მილანი“
1970 წ. — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია)
1971-1972 წ. წ. — „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია)

საბჭოთა ფეხბურთელები ამ ტურნირში მონაწილეობენ 1966 წლიდან. ქვეყნის მაშინდელი ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედო“ პირველივე წრის მატჩებში შეხვდა ძალიან ძლიერ მეტოქეს — იტალიის ჩემპიონს, მილანის „ინტერნაციონალეს“. ერთადერთმა ბურთმა (1:0 — მილანში, 0:0 — მოსკოვში) უპირატესობა „მილანს“ მოუტანა.

შემდგომში საბჭოთა ფეხბურთელები ასე გამოდიოდნენ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში:

1967-68 წ. წ. „დინამო“ (კიევი) — „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — 2:1, 1:1, „დინამო“ (კიევი) — „გურნიკი“ (ზაბჟე, პოლონეთი) — 1:2, 1:1.

1968-69 წ. წ. ტურნირში საბჭოთა გუნდებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

KJMCST "ELDORADO"

1969-70 წ. წ. „დინამო“ (კიევი) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — 3:1, 3:1, „დინამო“ (კიევი) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია, იტალია) — 1:2, 0:0.

1970-71 წ. წ. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ბაზელი“ (შვეიცარია) — 3:2, 1:2.

1971-72 წ. წ. ცსკა — „გალათასარაი“ (სტამბული, თურქეთი) — 1:1, 3:0, ცსკა — „სტანდარდი“ (ლიეჟი, ბელგია) — 1:0, 2:0.

გათამაშებაში, რომელიც ახლა მიმდინარეობს, გამოდიან კიევის დინამოელები. პირველ წრეში მათ დაამარცხეს ავსტრიის ჩემპიონი — „ვაკერი“ ინსბრუკიდან, შემდეგ ზაბჟეს „გურნიკი“, რომლის ღირსებას იცავს ევროპის ერთ-ერთი პოპულარული ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლოდზიმეჟ ლიუბანსკი.

მოგვყავს ამ ტურნირის შედეგების ცხრილი:

პირველი წრე — მეთექვსმეტედფინალი

„დინამო“ (კიევი) — „ვაკერი“ (ინსბრუკი, ავსტრია) — 1:0, 2:0.

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „კეფლავიკი“ (ისლანდია) — 3:0, 1:0.

„ანდერლეჰტი“ (ბელგია) — „ვაილე“ (დანია) 4:2, 3:0.

„უიპეშტ დოჟა“ (უნგრეთი) — „ბაზელი“ (შვეიცარია) — 2:0, 1:0.

„სელტიკი“ (შოტლანდია) — „რუსენბორგი“ (ნორვეგია) — 2:1, 3:1.

„ბაიერნი“ (გფრ) — „გალათასარაი“ (თურქეთი)—1:1, 6:0.

„იუვენტუსი“ (იტალია) — „მარსელი“ (საფრანგეთი) — 0:1, 3:0.

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „მალმე“ (შვეცია) — 0:1, 4:1.

ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ (ბულგარეთი) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — 1:2, 2:1, 2:0.

„გურნიკი“ (პოლონეთი) — „შლიემა“ (მალტა) — 5:0, 5:0.

„მაგდებურგი“ (გდრ) — „ტურკუ“ (ფინეთი)—6:0, 3:1.

„არჯესი“ (რუმინეთი) — „არისი“ (ლუქსემბურგი) — 2:0, 4:0.

„დერბი ქაუნთი“ (ინგლისი) — „ჟელეზნიჩარი“ (იუგოსლავია) — 2:0, 2:1.

„ომონია“ (კიპროსი) — „უოტერფორდი“ (ირლანდია) — 1:2, 2:0.

„აიაქსი“ (ჰოლანდია), როგორც ამ პრიზის მფლობელი და „სპარტაკი“ (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) კენჭისყრის შედეგად პირდაპირ მერვედფინალში დაუშვეს.

მეორე წრე — მერვედფინალი

„დინამო“ — „გურნიკი“ — 2:0, 1:2.
„ბაიერნი“ — „ომონია“ — 9:0, 4:0.
„დერბი ქაუნთი“ — „ბენფიკა“ — 3:0, 0:0.
„იუვენტუსი“ — „მაგდებურგი“ — 1:0, 1:0.
„უიპეშტ დოჟა“ — „სელტიკი“ — 1:2, 3:0.
„სპარტაკი“ — „ანდერლეჰტი“ — 1:0, 1:0.
„რეალი“ — „არჯესი“ — 1:2, 3:1.
„აიაქსი“ — ცსკა (სოფია) — 3:1, 3:0.

მესამე წრე — მეოთხედფინალი

„დინამო“ — „რეალი“
„აიაქსი“ — „ბაიერნი“
„იუვენტუსი“ — „უიპეშტ დოჟა“
„სპარტაკი“ — „დერბი ქაუნთი“

მეოთხედფინალის მატჩები შედგება 7 და 21 მარტს.

კიეველი ფეხბურთელების მეტოქეს — მადრიდის „რეალს“ დიდი ავტორიტეტი აქვს საერთაშორისო ფეხბურთში. წარსულში „რეალი“ იყო საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, ექვსჯერ ფლობდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს და 15-ჯერ იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი. მის შემად-

КЛИСФ. ЧАШИ В ЕВРОПУ ЕВРОПУ

გენლობაში დღესაც გამოდიან ცნობილი მოთამაშეები, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები — ნახევარმცველები, 29 წლის პირი, 29 წლის ველასკესი, 32 წლის ზოკო, და 34 წლის თავდამსხმელი, მარჯვენა გარემარბი ამანსიო. გუნდის მწვრთნელია მ. მუნიოსი.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი

1961 წელს საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ტურნირს ევროპის კონტინენტის საკლუბო გუნდებისთვის — ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებას. ამ ჯილდოს ფლობდნენ შემდეგი გუნდები:

1961 წ. — „ფიორენტინა“ (ფლორენცია, იტალია)
1962 წ. — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი).
1963 წ. — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი).
1964 წ. — „სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია).
1965 წ. — „ვესტ ჰემ იუნაიტედ“ (ლონდონი, ინგლისი).
1966 წ. — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ).
1967 წ. — „ბაიერნი“ (მიუნჰენი, გფრ).
1968 წ. — „მილანი“ (იტალია).
1969 წ. — „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია).
1970 წ. — „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი).
1971 წ. — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია).

საბჭოთა კლუბები ამ ტურნირში მონაწილეობენ 1965 წლიდან. პირველმა თავისი ძალა გამოსცადა კიევის „დინამომ“.

1965-66 წ. წ. — „დინამო“ (კიევი) — „კოლრეინი“ (ჩრდ. ირლანდია) 6:1, 4:0, „დინამო“ (კიევი) — „როსენბორგი“ (ნორვეგია) 4:1, 2:0, „დინამო“ (კიევი) — „სელტიკი“ (შოტლანდია) — 0:3, 1:1.

1966-67 წ. წ. — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ოფკ (ბელგრადი, იუგოსლავია) — 3:1, 3:0, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) **1:1, 0:1.**

1967-68 წ. წ. — „ტორპედო“ (მოსკოვი) — „მოტორი“ (ცვიკაუ, გდრ) — 0:0, 1:0, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარ-

ტაკი“ (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) — 3:0, 3:1, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „კარდიფ სიტი“ (უელსი) — 1:0, 0:1, 0:1.

1968-69 წ. წ. — საბჭოთა გუნდებს ტურნირში მონაწილეობა არ მიუღიათ.

1969-70 წ. წ. — „ტორპედო“ (მოსკოვი) — „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) — 0:0, 1:1.

1970-71 წ. წ. — „კარპატი“ (ლვოვი) — „სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — 0:1, 3:3.

1971-72 წ. წ. — „დინამო“ (მოსკოვი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი) — 2:0, 1:2, „დინამო“ (მოსკოვი) — „ესქიშეჰირსპორი“ (თურქეთი) — 1:0, 1:0, „დინამო“ (მოსკოვი) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — 2:1, 1:1, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ბერლინი, გდრ) — 1:1, 1:1 (პენალტი), ფინალი — „დინამო“ (მოსკოვი)—„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — 2:3.

პირველი წრე — მეთექვსმეტედფინალი

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ჰააგა“ (ჰოლანდია) 1:0, 0:0.

„ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) — „ბასტია“ (საფრანგეთი) — 0:0, 2:1.

„ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „ფლორიანა“ (მალტა)— 0:1, 6:0.

„შალკე-04“ (გფრ) — „სლავია“ (ბულგარეთი)—2:1, 3:1.

„ლეგია“ (პოლონეთი) — „ვიკინგური“ (ისლანდია) — 2:0, 9:0.

„ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ანკარაგიუჩიუ“ (თურქეთი) — 1:1, 1:0.

„ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) — „ფრედრიქსტადი“ (ნორვეგია) — 1:0, 1:0.

„რაპიდი“ (ავსტრია) — „პაოკი“ (საბერძნეთი) — 0:0, 2:2.

„რექსჰემი“ (უელსი) — „ციურიხი“ (შვეიცარია) — 1:1, 2:1.

„ჰიბერნიენი“ (შოტლანდია) — „სპორტინგი“ (პორტუგალია) — 1:2, 6:1.

КЛИСФ "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

„რაპიდი“ (რუმინეთი) — „ლანდსკრუნა ბოიზი“ (შვეცია) — 3:0, 0:1.

„ჰიბერნიენსი“ (ირლანდია) — „პეზოპორიკოსი“ (კიპროსი) — 4:1, 2:1.

„ბესა“ (ალბანეთი) — „ფრემადი“ (დანია) — 1:1, 0:0.

„კარლ ცაისი“ (გდრ) — „მიკელი“ (ფინეთი)—6:1, 2:3.

„სპარტა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „სტანდარდი“ (ბელგია) — 0:1, 4:2.

„მილანი“ (იტალია) — „რედ ბოისი“ (ლუქსემბურგი) — 4:1, 3:0.

მეორე წრე — მერვედფინალი

„სპარტაკი“ — „ატლეტიკო“ — 4:3, 1:2.
„სპარტა“ — „ფერენცვაროში“ — 0:2, 4:1.
„მილანი“ — „ლეგია“ — 1:1, 2:1.
„რაპიდი“ (რუმინეთი) — „რაპიდი“ (ავსტრია)—1:1. 3:1.
„ჰაიდუკი“ — „რეკსჰემი“ — 1:3, 2:0.
„შალკე-04“ — „ჰიბერნიენსი“ — 0:0, 3:0.
„ჰიბერნიენი“ — „ბესა“ — 7:1, 1:1.
„ლიდს იუნაიტედი“ — „კარლ ცაისი“ — 0 : 0 ,2 : 0.

მესამე წრე — მეოთხედფინალი

„სპარტაკი“ — „მილანი“
„ლიდს იუნაიტედი“ — „რაპიდი“ (რუმინეთი)
„ჰიბერნიენი“ — „ჰაიდუკი“
„შალკე-04“ — „სპარტა“

მეოთხედფინალები შედგება 7 და 21 მარტს.

საბჭოთა ფეხბურთელების მეტოქე — „მილანი“ საქვეყნოდ განთქმული გუნდია. იტალიელებმა 1969 წელს მოიგეს საკონტინენტთაშორისო თასი. „მილანმა“ ორჯერ მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი და ერთხელ — ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. ამას გარდა, ამ გუნდმა ორჯერ მოიგო „ლათინური თასი“ და 9-ჯერ — იტალიის ჩემ-

პიონის წოდება. „მილანის“ ღირსებას იცავენ იტალიის ეროვნული ნაკრების მოთამაშეები კიარუჯი, როსატო, ბენეტი, პრატი და რივერა, რომელიც წლეულს იტალიის ჩემპიონატის გათამაშების ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. გუნდს ავარჯიშებს ნ. როკო.

უეფა-ს თასი

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ამ გათამაშებაში ჩვენი კლუბების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ყველაზე გვიან — 1970 წელს.

შეიძლება ითქვას, რომ უეფა-ს თასის გათამაშება იმ ტურნირებს შორის, რომლებიც ევროპის საკლუბო გუნდებისთვის ტარდება, ყველაზე პოპულარული თუ არა, მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე წარმომადგენლობითია: უკანასკნელ წლებში მის პირველ წრეში ყოველთვის მონაწილეობს 60-ზე მეტი გუნდი. ამ გუნდების უმეტესობას აქვს საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის დიდი გამოცდილება.

თავდაპირველად გადაწყვიტეს, რომ საბჭოთა ფეხბურთს უეფა-ს თასის გათამაშებაში წარმოადგენდა ორი გუნდი — მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“. ამ გუნდებმა 1970 წლის საკავშირო ჩემპიონატში შესაბამისად III და IV ადგილები დაიკავეს. მაგრამ ტურნირში მონაწილეობა მხოლოდ სპარტაკელებმა მიიღეს. მოსკოველმა ფეხბურთელებმა წარმატებით განვლეს პირველი წრე, სადაც მათი მეტოქე იყო ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიცეს კლუბი ვსს (მოგება — 2:0, წაგება — 1:2). შემდეგ წრეში სპარტაკელებმა ორ მატჩში პორტუგალიის „ვიტორიასთან“ ოთხი შესაძლებლიდან მხოლოდ ერთი ქულა აიღეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

უეფა-ს თასის შემდგომ გათამაშებაში (1971-72 წ. წ.) მონაწილეობა მიიღეს 1971 წლის საკავშირო პირველობის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა — ერევნის „არარატმა“ და თბილისის „დინამომ“. კენჭისყრამ დინამოელებს წილად არგუნა შეხვედრები ჰოლანდიის „ტვენტეს“ გუნდთან.

КЛИСФ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

1972 წლის 13 ოქტომბერი თბილისის „დინამოს" ისტორიაში შევიდა როგორც ღირსშესანიშნავი თარიღი: ამ დღეს გუნდმა ჩაატარა თავისი პირველი ოფიციალური მატჩი ევროპულ ტურნირში.

პირველ შეხვედრაში თბილისელებმა გაიმარჯვეს — 3:2. მინიმალური სხვაობით მოგებამ და ჰოლანდიელთა მიერ გატანილმა ორმა ბურთმა შესამჩნევად გააძნელა თბილისელთა მდგომარეობა. წინ იყო ძნელი მატჩი სტუმრად. შიში გამართლდა: „ტვენტემ" საკუთარ მინდორზე, ენსხედეში უფრო ძლიერად ითამაშა და გაიმარჯვა — 2:0. ჰოლანდიელებმა მოიპოვეს შემდეგ წრეში თამაშის უფლება. დინამოელებისთვის კი „ტვენტე" პირველი და უკანასკნელი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა.

მეორე საბჭოთა გუნდმა — ერევნის „არარატმა" წარმატებით განვლო ორი ეტაპი — ოცდამეთორმეტედფინალი და მეთექვსმეტედფინალი, დაამარცხა რა კიპროსის ეპა (1:0, 1:0) და შვეიცარიის „გრასჰოპერსი" (3:1, 4:2).

შემდეგ წრეში ერევნელებმა ვერ დასძლიეს დასავლეთგერმანული კლუბის „კაიზერსლაუტერნის" წინააღმდეგობა: საკუთარ მინდორზე მატჩი ამ გუნდთან მოიგეს ანგარიშით 2:0, სტუმრად კი ამავე ანგარიშით დამარცხდნენ. მომავალი მეოთხედფინალისტის ბედი პენალტებმა გადაწყვიტა.

ქვემოთ მოყვანილია უეფა-ს 1972-73 წლების ტურნირის შედეგები:

პირველი წრე — ოცდამეთორმეტედფინალი

I ჯგუფი

„ბორუსია" (მენჰენგლადბახი, გფრ) — „აბერდინი" (შოტლანდია) — 3:2, 6:3.

„ბრიუჟი" (ბელგია) — „ატვიდაბერგი" (შვეცია) — 5:3, 1:2.

„ტოტენჰემ ჰოტსპური" (ინგლისი) — „ლიუნი" (ნორვეგია) — 6:3, 6:0.

„ჰვიდოვრე" (დანია) — იფკ (ფინეთი)

II ჯგუფი

„ვალენსია" (ესპანეთი) — „მანჩესტერ სიტი" (ინგლისი) — 2:2, 2:1.

„კიოლნი" (გფრ) — „ბოჰემიანსი" (ირლანდია) — 2:1, 3:0.

„ჰონვედი" (უნგრეთი) — „პართიკი" (შოტლანდია) — 1:0, 3:0.

„ვიკინგი" (ნორვეგია) — იბვ (ისლანდია) — 1:0, 0:0.

III ჯგუფი

„ფეიენოორდი" (ჰოლანდია) — „რიუმელინგენი" (ლიუქსემბურგი) — 9:0, 12:0.

„გრასჰოპერსი" (შვეიცარია) — „ნიმი" (საფრანგეთი) — 2:1, 2:1.

„ვიტორია" (პორტუგალია) — „ზაგლემბე" (პოლონეთი) — 6:1, 0:1.

„ლივერპული" (ინგლისი) — „აინტრახტი" (გფრ) — 0:0, 2:0.

IV ჯგუფი

„კაიზერსლაუტერნი" (გფრ) — „სტოკ სიტი" (ინგლისი) — 1:3, 4:0.

„ლას-პალმასი" (ესპანეთი) — „ტორინო" (იტალია) — 0:2, 4:0.

„ფრემი" (დანია) — „სოშო" (საფრანგეთი) — 3:1, 2:1.

„ბარეირენსე" (პორტუგალია) — „რესინგი" (ბელგია) — 1:0, 2:0.

V ჯგუფი

„ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) — „კალიარი" (იტალია) — 2:1, 1:0.

„დინამო" (ბერლინი, გდრ) — „ანჟე" (საფრანგეთი) — 1:1, 2:1.

„უნივერსიტატეა" (რუმინეთი) — „ლევსკი-სპარტაკი" (ბულგარეთი) — 4:1, 0:0.

КЛИСФ "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

„პორტუ" (პორტუგალია) — „ბარსელონა" (ესპანეთი) — 1:0, 3:1.

VI ჯგუფი

„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „ლოზანა" (შვეიცარია) — 5:1, 0:0.

„ინტერნაციონალე" (იტალია) — „ლა-ვალეტა" (მალტა) — 6:1, 1:0.

„ბეროე" (ბულგარეთი) — „აუსტრია" (ავსტრია) — 7:0, 3:1.

„ნორჩეპინგი" (შვეცია)—„უტა" (რუმინეთი)—2:1, 2:0.

VII ჯგუფი

„არარატი" (ერევანი) — „ეპა" (კიპროსი) — 1:0, 1:0.

აეკ (საბერძნეთი) — „შალგოტარიანი" (უნგრეთი) — 3:1, 1:1.

„ფიორენტინა" (იტალია) — „ესქიშეჰირსპორი" (თურქეთი) — 2:1, 3:0.

ოფკ (იუგოსლავია) — „დუკლა" (ჩეხოსლოვაკია) — 2:2, 3:1.

VIII ჯგუფი

„ტვენტე" (ჰოლანდია) — „დინამო" (თბილისი)—2:3, 2:0.

„სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია) — „ვოივოდინა" (იუგოსლავია) — 6 : 0, 2 : 1.

„რუხი" (პოლონეთი) — „ფენერბახჩე" (თურქეთი) — 3:0, 0:1.

„დინამო" (დრეზდენი, გდრ) — „ლინცი" (ავსტრია) — 2:0, 2:2.

მეორე წრე — მეთექვსმეტედფინალი

I ჯგუფი

„დინამო" (ბერლინი) — „ლევსკი-სპარტაკი" — 3:0, 0:2.

„ბორუსია" — „ჰვიდოვრე" — 3:0, 3:1.

„ტოტენჰემ ჰოტსპური" — „ოლიმპიაკოსი" — 4:0, 0:1.

„პორტუ" — „ბრიუჟი" — 3:0, 2:3.

II ჯგუფი

„ცრვენა ზვეზდა" — „ვალენსია" — 3:1, 1:0.

„ინტერნაციონალე" — „ნორჩეპინგი" — 2:2, 2:0.

„კიოლნი" — „ვიკინგი" — 0:1, 9:1.

„ბეროე" — „ჰონვედი" — 3:0, 0:1.

III ჯგუფი

„არარატი" — „გრასჰოპერსი" — 3:1, 4:2.

„ლივერპული" — აეკ — 3:0, 3:1.

ოფკ — „ფეიენოორდი" — 3:4, 2:1.

„ვიტორია" — „ფიორენტინა" — 1:0, 1:2.

IV ჯგუფი

„კაიზერსლაუტერნი" — „ბარეირენსე" — 3:1, 0:1.

„ლას-პალმასი" — „სლოვანი" — 2:2, 1:0.

„დინამო" (დრეზდენი) — „რუხი" — 1:0, 3:0.

„ტვენტე" — „ფრემი" — 5:0, 4:0.

მესამე წრე — მერვედფინალი

„ლივერპული" — „დინამო" (ბერლინი) — 0:0, 3:1.

„ბორუსია" — „კიოლნი" — 0:0, 5:0.

„ტოტენჰემ ჰოტსპური" — „ცრვენა ზვეზდა" — 2:0, 0:1.

„კაიზერსლაუტერნი" — „არარატი" — 0:2, 2:0, 5:4 (პენალტები).

„ტვენტე" — „ლას-პალმასი" — 3:0, 1:2.

ოფკ — „ბეროე" — 0:0, 3:1.

„დინამო" (დრეზდენი) — „პორტუ" — 2:1, 1:0.

„ვიტორია" — „ინტერნაციონალე" — 2:0, 0:1.

КЛИСФ. "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

მეოთხე წრე — მეოთხედფინალი

„კაიზერსლაუტერნი“ — „ბორუსია“.
ოფკ — „ტვენტე“.
„ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ვიტორია“.
„ლივერპული“ — „დინამო“ (დრეზდენი).

მეოთხედფინალური მატჩები შედგება 7 და 21 მარტს.

«ФУТБОЛ-73»

Справочник-календарь

Автор-составитель Г. Акопов

(На грузинском языке)

Издательство ЦК КП Грузии

Тбилиси, 1973

КЛИСФ. "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"